# ვანო და ბაიბურთი

*დღეს ქართველ საზოგადოებაში საკმაოდ პოპულარულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს რეალური მმართველი არა მიხეილ სააკაშვილი, არამედ ვანო მერაბიშვილია. „რომ არა ვანო, სააკაშვილი ამდენი ხანი პრეზიდენტი ველარ იქნებოდა", „საქართველოს პრეზიდენტი მიშა კი არა, სინამდვილეში, ვანო მერაბიშვილია" — ამგვარ ფრაზებს ხშირად გაიგონებთ როგორც უბრალო მოკვდავთა ენა-პირიდან, ისე ჩვენი ქვეყნის საჩინო გვამთა, ანუ პოლიტიკოსთა სამეტყველო აპარატიდან. ბოლოს და ბოლოს, თავად სააკაშვილმა გამოაცხადა ვანო მერაბიშვილი ქართული სახელმწიფოს ხერხემლად!*



თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ ნამდვილ პოლიციურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებანი არათუ საეჭვო არ არის, არამედ კამათის საგანსაც არ წარმოადგენს.

რაზე დგას სააკაშვილის რეჟიმი — **პოლიტიკურ ტერორზე, რეპრესიებზე, ტოტალურ სატელეფონო მოსმენებზე, ფარულ მიყურადებასა და თვალთვალზე, სპეცრაზმზე, ზონდერბრიგადებსა და გესტაპოზე, ანუ პოლიტიკურ პოლიციაზე, ყოველივე ამას კი განკარგავს და ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა მინისტრი, ანუ ქვეყნის პირველი პოლიციელი ვანო მერაბიშვილი.** მაშ, საქართველოს პრეზიდენტიც, უსტაბაშიც, ატამანიც, ხონთქარიც, იმპერატორიც და რევიზორიც სწორედ ეს ბატონი ყოფილა ადიგენის რაიონის სოფელ უდედან, დაბადებული 1968 წლის 15 აპრილს, ევგენია და სერგო მერაბიშვილების ოჯახში.

**ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი რომ ვანო მერაბიშვილია, ეს ოპოზიციად წოდებულმა გაურკვეველი წარმომავლობის კონგლომერატმაც აღიარა.** ეს ე. წ. ოპოზიცია, რომელიც ქუჩის მიტინგებზე მერაბიშვილს მკვლელს, პირსისხლიან ჯალათსა და საქართველოს მთავარ უბედურებას ეძახდა, ახლა საქაღალდეებით ხელში დარბის მერაბიშვილთან შეხვედრებზე და **დიდ ვანოს** ეხვეწება, პოლიტპატიმრები საპატიმროდან გამოუშვიო.

არადა, პატიმრების ციხიდან გამოშვება მერაბიშვილის ან სააკაშვილის კი არა, სასამართლოს პრეროგატივაა! სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ესა თუ ის ადამიანი პატიმრობაში უნდა დარჩეს თუ არა. რაკიღა ამ ქვეყანაში სასამართლო არ არსებობს, ოპოზიციამ სასამართლოდ, სამართალად და უზენაეს მსაჯულად **ვანო მერაბიშვილი** გამოაცხადა. დიახ, რაკიღა ოპოზიციამ იმის ფრაკი ვერ გამონახა, რომ სააკაშვილის გადაყენებისათვის თუ არა, სააკაშვილისა და მერაბიშვილის კლანჭებიდან სასამართლოს გათავისუფლებისათვის მაინც მიეღწია, კაპიტულაცია გამოაცხადა და მთლიანად მერაბიშვილის ფრაკში შეძვრა.

**დიახ! ე. წ. ოპოზიციამ პოლიტიკური ლეგიტიმაცია მისცა იმას, რომ ამ ქვეყანაში სამართალიც და კანონიც ვანო მერაბიშვილი იყოს!**

მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი, რომ მიშაც მაგარია, ვანოც მაგარია და მთელი ეს ოპოზიცია, რამდენიმე ადამიანის გამოკლებით, მთლიანად მიშას და ვანოს აბარია!

და კიდევ ერთი!

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, ვანო მერაბიშვილი მაინც არ არის ერთადერთი ფიგურა, რომელზეც სააკაშვილის პრეზიდენტობა დგას. **არის კიდევ ერთი კაცი,** რომლის არსებობასაც საზოგადოება და ე. წ. ოპოზიციაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ამ კაცის გამჭრიახობაზე, დიდ გაქანებასა და პოლიტიკურ შორსმხედველობაზეა ჩამოკიდებული სააკაშვილის ძალაუფლება. **ეს კაცი მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, გაზეთ „ვრასტანის" მთავარი რედაქტორი და „ველიკაია არმენიას" ემისარი საქართველოში ვან ბაიბურთი გახლავთ.**

დიახ! სწორედ **ვან ბაიბურთის** რჩევებით აკეთებს ბევრ რამეს სააკაშვილი და საკუთარ ძალაუფლებასაც იხანგრძლივებს!

მოგეხსენებათ, პრეზიდენტის მრჩეველი პატარა ფიგურა არ არის! ესა თუ ის პრეზიდენტი ცოტა სიშლეგით, ცოტა ჭკუანაკლებობით, ცოტა სიმხდალით და ქარაფშუტობით თუ გამოირჩევა, ქვეყნის მართვის მთელი სიმძიმე სწორედ მის მრჩევლებზე გადადის! პრეზიდენტის მრჩევლების კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული **ქვეყნის დაქცევა-არდაქცევა.**

რაკიღა ზემოჩამოთვლილ თვისებათაგან ჩვენს პრეზიდენტს ცოტ-ცოტა ყველაფერი ახასიათებს, ჩვენი ქვეყანა სვე-ბედით მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის მრჩევლებზე და, მათ შორის, რა თქმა უნდა, ვან ბაიბურთზე!

**არ შეიძლება, ვან ბაიბურთის, როგორც საქართველოს დიდი პატრიოტის, კეთილ რჩევას წვლილი არ მიუძღოდეს იმაში, რომ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ახალქალაქი-ბათუმის პირდაპირი გზის მშენებლობას, ანუ პირველი აგური დადო სამცხე-ჯავახეთის სომხური ავტონომიისა და სომხეთისათვის ზღვაზე გასასვლელის მიცემის დიდ ქართულ საქმეში!**

არ შეიძლება, ყოველივე ეს მსოფლიოს სომხურმა ლობმა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მფარველი და მმართველია, სააკაშვილს სათანადოდ არ დაუფასოს და ყველაფერი არ გააკეთოს იმისათვის, რომ სააკაშვილი რაც შეიძლება დიდხანს იყოს ხელისუფლებაში.

**ამაში, რა თქმა უნდა, ბაიბურთის დიდი წვლილიც იქნება!**

ვან ბაიბურთი ჯერ კიდევ არ იყო სააკაშვილის მრჩეველი, როცა აქტიურად იღვწოდა მიშას ძალაუფლების განმტკიცებისათვის. თავისუფალ პრესაზე ტოტალურ შეტევას — გამომცემლობა „სამშობლოდან" „ასავალ-დასავალისა" და 90-მდე რედაქციის გამოყრას ხომ სწორედ ვანის შვილი გრიშა ბაიბურთი ხელმძღვანელობდა!

ასე რომ, ძვირფასო მეგობრებო, **სანამ ვან ბაიბურთი სააკაშვილის გვერდით არის,** მიშას ვერავინ წააქცევს!

**ამიტომაც ყველამ, ვისაც სააკაშვილის ერთადერთი დასაყრდენი ვანო მერაბიშვილი ჰგონია, იცოდეს, რომ ვანოსთან ერთად მიშას ხელისუფლებას ვანიც (ბაიბურთი) ახანგრძლივებს!**

მოკლედ, ყველამ გაითავისოს, რომ მიშას ძალაუფლებას ორი ბურჯი ჰყავს: ვანო და ბაიბურთი!

*ჯაბა ხუბუა*

## მიმართვა

**ევროკავშირის წარმომადგენელს საქართველოში, ბატონ ტერ ექლუნდს**

**პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიას დის ნანული ვახანიას**
**მცხ. ქ. ზუგდიდი, მარჯვენა სანაპიროს 60**
**ტ. 893-20-30-22**

### განცხადება

2009 წლის 18 აგვისტოს თბილისის №1 საპყრობილედან ზუგდიდის სასამართლოში ეტაპით იქნა გადმოყვანილი ჩემი ძმა ვლადიმერ ვახანია. საქმეს იხილავდა ქ. ზუგდიდის პროკურორის მოადგილე დ. ხვიტია, მოსამართლე დ. კეკენაძე, ადვოკატები ჯ. შელია, ჯ. ზარანდია, ი. ლომია, ლ. აფციაური, ლ. გელაშვილი.

ჩემი ძმა უკანონო პატიმრობაშია, უკვე ექვსი თვეა (15/ III 2009 წ.-დან), შოკში ჩავვარდი, როდესაც ჩემი ძმა სასამართლოში დავინახე. ხალხის წინაშე წარსდგა გამოფიტული ადამიანი (მედიცინის ენაზე კახექსიით), გაფითრებული, ყვითელი კანით, სეფსისისთვის დამახასიათებელი გამოხედვით და ჰაბიტუსით, სუსტი ხმით, გალურჯებული ხელებით და ფრჩხილებით, ადამიანი მთელი ძალით ცდილობდა წონასწორობის დაცვას და თვალების ფართოდ გახელას.

მე მაქვს სამედიცინო განათლება და მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი ინტენსიურ თერაპიაში და მიმღები განყოფილების ექიმად. ასე რომ, მე, როგორც ექიმმა, დავინახე, რომ ჩემს ძმას აქვს ქრონიკული სეფსისი, ქრონიკული ინტოქსიკაცია უცნობი საწამლავით, მე ვფიქრობ, დარიშხანით (As). მსგავს ავადმყოფებს მე ვაწვენდი ინტენსიურ თერაპიასა და რეანიმაციაში. ჩემი ძმა კი ეტაპით, ე.წ. „შავი ვორონკით" არის გადმოყვანილი, სამედიცინო თანხლების, შესვენებისა და კვების გარეშე. სასამართლო დარბაზში იგი ძალიან ცუდად გახდა, გამოძახებული იყო „სასწრაფო" და დასმული იქნა დიაგნოზი ჰიპერტონიული კრიზი, AD=220/120 (ნორმით 110/70) და უნდოდათ, ასეთი ავადმყოფი ეტაპით გადაეყვანათ ქ. თბილისში. უარი მითხრეს ჩემს თხოვნაზე, გადაეყვანათ იგი საავადმყოფოში მძიმე საერთო მდგომარეობის გამო, აგრეთვე უარი მითხრეს AD-ს კონტროლზე და მეორედ გამოძახებული სასწრაფოს ექიმი ბადრაგმა ავადმყოფთან არ მიუშვა. გზაში მდგომარეობის გაუარესების გამო ჩემი ძმა ქუთაისიდან დააბრუნეს და მოათავსეს ზუგდიდის №4 საპყრობილეში.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მიმდინარეობს ადამიანის მიზანმიმართული განადგურება.

თბილისის №1 საპყრობილეში ჩემს ძმას სისტემატურად წამლავდნენ საწამლავით. აღენიშნება ქრონიკული ინტოქსიკაცია, ქრონიკული სეფსისის გართულება, მძიმე ანემია, რომელიც მძაფრად გამოიხატება პირველი შეხედვითაც, კანის ზედაპირის სიყვითლე, ხელების და ფრჩხილების სილურჯე, წონის პათოლოგიური დაკლება.

ჩემს ძმას ესაჭიროება სასწრაფო დეტოქსიკაცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ჰოსპიტალიზაცია და გამოკვლევა.

ის უკვე მესამე დღეა, ზუგდიდის ციხეში იმყოფება და სამედიცინო ნაწილში ჯერ კიდევ არ არის გადაყვანილი. სამართალდამცავი ორგანოები თანმიმდევრულები არიან თავიანთ ქმედებებში. სასამართლოს არაფერი ჰქონდა საპასუხო დაცვის რკინისებურ არგუმენტებზე.

ერთადერთი პასუხი არის ყველა შუამდგომლობის უარყოფა.

უარყოფილია გირაოთი გამოყვანაც, მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა.

პატივცემულო ბატონო ტერ!

ჩემს ძმას ასამართლებენ მკვლელები!

ისინი მას აწამებენ, წამლავენ და აქედან სიამოვნებას იღებენ!

თუ ევროკავშირი სასწრაფოდ არ გაათავისუფლებს ჩემს ძმას, ისინი მოკლავენ მას!

ნუთუ ქვეყნები, რომლებიც ითვლებიან დემოკრატიისა და კაცთმოყვარეობის ბურჯად, ასე გულგრილები არიან ადამიანის და მეცნიერის ბედის მიმართ, რომლის მიმართ ყველა ცივილიზებული ქვეყნისთვის ამაზრზენი ქმედებები ხორციელდება? ეს ქვეყნები თავიანთ უმოქმედობით მფარველობენ საქართველოს მთავრობას მის უკანონო, არაადამიანურ ქმედებებში. გამოდის, რომ ევროკავშირისა და ამერიკისათვის სულერთია ქართველი ხალხი, ქართველი ხალხის ბედი და მხოლოდ წუხან მთავრობაზე, რომლის ციხეებშიც უმრავლესობა უდანაშაულო ხალხია. ეს განაწყობს ჩვენს ხალხს ევროკავშირის საწინააღმდეგოდ.

ჩემმა ძმამ უსასყიდლოდ უსაჩუქრა საქართველოს მთავრობას საქართველოს განვითარების, გაერთიანებისა და აღორძინების პროგრამა! ეს პროგრამა საქართველოს ფედერაციული მოწყობის გამოცხადებული იქნა მაღალი ტრიბუნიდან. სანაცვლოდ ვლადიმერმა მიიღო ციხე! გარდა ამისა, უნდათ მისი განადგურება! ჩემი ძმა არის რუსე-

*გაგრძელება 21-ე გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**თიკო კანდელაკი**
*ტელეწამყვანი*



მიხეილ სააკაშვილის ბევრ ქმედებაზე, უკვე აზრს კარგავს რაიმე კომენტარის გაკეთება... **არის ისეთი სპეციალური სახლები, სადაც ცხოვრობენ: ნაპოლეონი, კუტუზოვი... ვშიშობ, რომ მიხეილ ნიკოლოზის ძის მთავარი პრობლემა სწორედ იმაშია, რომ იგი აქამდე არ ცხოვრობს ასეთ სახლში, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ დიდხანს ლოდინი არ მოუწევს.**

„საერთო გაზეთი"

**ანზორ ბაბუხადია**
*გაზეთ „თანადგომის" რედაქტორ-გამომცემელი*



**თბილისის ყოველი ახალი ათი ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტიდან რვას საერთოდ არ გააჩნია ქართული წარწერა და სარეკლამო ფირნიში, რაც კანონის უხეში დარღვევაა! უფრო მეტიც, ტელე-რადიო ჟურნალისტები ერთმანეთს ეჯიბრებიან დამახინჯებული ქართულით საუბარში. არადა, თავის დროზე სწორედ ტელე-რადიო პროგრამების წამყვანები აძლევდნენ დიდ-პატარას ქართულად საუბრის მაგალითს.**

„საქართველოს რესპუბლიკა"